საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№26 (6401) 2 მარტი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

27 თებერვალს გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის მოხსენების გამო სესიამ ცნო დეპუტატების კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ფირცხალავასა და აკაკი გიორგის ძე მათიაშვილის უფლებამოსილება, რომლებიც საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“ პარტიული სიით არიან არჩეული.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის მდივანმა გიორგი გულბანმა სხდომას მოახსენა, თუ რა ცვლილებანია შეტანილი უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში, რომელიც დეპუტატებმა პირველი წაკითხვით წინა სხდომაზე განიხილეს. სესიამ მიიღო ეს კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

შემდეგ განიხილეს უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხი.

აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები აკაკი ბობოხიძე, დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თედო ნინიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, ეთერ გუგუშვილი, კანონი მიღებულია საბოლოო რედაქციით.

უზენაესმა საბჭომ ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა ამა წლის 29 იანვარს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის კანონში „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“. აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

„ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდა დეპუტატი თენგიზ ჩაჩავა. სესიამ მიიღო წარმოდგენილი ცვლილებანი და დამატებანი.

სანამ სესია შეუდგებოდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვას, ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარ უკანასკნელ მოვლენებს პოლიტიკური შეფასება მისცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ რამდენადაც საქართველო უარს ამბობს სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ცენტრი ყოველნაირად ცდილობს გაითამაშოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაძაბულობის ხელოვნურად გაძლიერების უკვე არაერთხელ მოსინჯული სქემა. ამას ადასტურებს სსრ კავშირის პრეზიდენტთან მისი ტელეფონით საუბრის შინაარსიც.

სესიაზე მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეყვანილია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების 250 სამხედრო მოსამსახურე სრული საბრძოლო აღჭურვილობით იმ საბაბით, რომ მათ უნდა შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გულრიფშის რაიონში მდებარე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეს ქვეგანაყოფი შემოყვანილია საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობათა ნებართვის გარეშე.

აფასებს რა ამ ფაქტს, როგორც სსრ კავშირის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას და საქართველოს სუვერენული უფლებების სრულ უგულებელყოფას, უზენაეს საბჭოს ეს მიაჩნია დესტრუქციული ძალების მორიგ პროვოკაციად, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას როგორც საქართველოს ამ რეგიონში, ასევე მთლიანად რესპუბლიკაში. განცხადება შეიცავს მოთხოვნას აღიკვეთოს იმ თანამდებობის პირთა თვითნებობა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება შინაგანი ჯარების შემოყვანის შესახებ, და დაუყოვნებლივ გაიყვანონ ისინი საქართველოს ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ აქციის შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება უკანონოდ მოქმედ მხარეს, ნათქვამია განცხადებაში.

აფხაზეთში შექმნილ სიტუაციაზე ილაპარაკეს აგრეთვე დეპუტატებმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, ლევან ალექსიძემ, გიორგი ქავთარაძემ და სხვებმა.

სესიამ მიიღო დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ შეაჩერა მოქმედება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 26 იანვრის ბრძანებულებისა „ეკონომიკის სფეროში ეკონომიკურ საბოტაჟთან და სხვა დანაშაულობებთან ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ და 1991 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებისა „ყველაზე საშიშ დანაშაულობებთან და მათს ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევია იმის საჭიროებით, რომ უზრუნველვყოთ რესპუბლიკის სუვერენული უფლებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77-ე მუხლის შესაბამისად. როგორც ხაზგასმულია მიღებულ დადგენილებებში, ამგვარ დანაშაულებებთან ბრძოლა წარიმართება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სესიაზე მიღებულია კანონი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში—საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ და დადგენილება არჩევნების მონაწილე დეპუტატობის კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირებისათვის საშუალო ხელფასის მიცემის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და დაბისათვის სახელის გადარქმევის საკითხი. აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა ლევარდ ტუხაშვილმა, მზექალა შანიძემ, რამაზ სურმანიძემ, მელს ბდოიანმა, გია ხავთასმა, როინ მეტრეველმა და სხვებმა. მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

სესიამ განიხილა საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის შექმნის საკითხი. ამ საკითხის განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები რომან გოცირიძე, აპოლონ სილაგაძე, შალვა აბზიანიძე, გივი თაქთაქიშვილი, ბაკურ გულუა და სხვები, დეპუტატებმა მიიღეს შესაბამისი კანონი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის

(დასასრული მე-3 გვერდზე).

საქართველოს სოფლის მეურნეობა: პრობლემები და ამოკანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩხეიძე.

ერთ-ერთ ფუძემდებელ აქტად, რომელიც მიზნად ისახავს გარდამავალი პერიოდის პირობებში აგრარული საკითხის გადაწყვეტას იქცა „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საჯარო ურთიერთობათა დებულება“. რესპუბლიკის მთავრობამ იგი მიიღო მისი პირველი გაზაფხულის დადგომის წინ—ჭირნახულს კარკი საფუძველი ეყრება.

კომისიის ძირითადი მიზანი ლაკონურად მისივე დასახელებაშია მოცემული. თუ უფრო ჩაკუღრმავდებით კომისიის შინაარსს, წარმოჩნდება ფართო სპექტრი იმ მტკივნეული, ათეულობით დაგროვილი და გადაუწყვეტელი საკითხებისა, რომლებიც ახალ პარლამენტს მემკვიდრეობით დაუტოვა სოფლად საბჭოური მეურნეობრიობის ფორმებმა და რომელთა გადაჭრის კანონქვემდებარე აქტებიც უნდა შეიმუშაოს კომისიამ.

უკვე გვაქვს შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ოპტიმალური ვარიანტი, კონცეფცია იმისა თუ სად უნდა ვეძიოთ მისი განვითარების გზები. სამოქმედო პროგრამა ორ ნაწილად, უფრო სწორად ორ ეტაპად გვაქვს გაყოფილი. პირველი, რომელიც გარდამავალ პერიოდს შეესაბამება, ხოლო შორეული—ყველა ქართველისათვის ნანატრ ხანას, როდესაც ჩვენი სამშობლო პოლიტიკურად და ეკონომიკურად სრულიად თავისუფალი იქნება.

პირველ ეტაპზე უნდა მივიღოთ ისეთი კანონები და განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც სოფელს და მიწაზე მომუშავე კაცს გაათავისუფლებს ადმინისტრაციული დიქტატისაგან. აუცილებლად უნდა დაიშალოს აგრარულ სექტორზე ისეთი მბრძანებელი ორგანო-გიგანტი, როგორიც აგროსამრეწველო კომიტეტია. მის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროები რომლებიც თავისი საქმიანობის ახლებურად წარმართვით იზრუნებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და მათი გადამუშავების მოცულობათა გაზრდაზე, ხარისხის ამაღლებასა და საერთოდ ამ სფეროს ისეთ განვითარებაზე, რომ იგი აუკანილ იქნეს თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების დონეზე.

ამასთანავე ახლავე უნდა ჩაეყაროს საფუძვლები სოფლად მეურნეობრიობის ისეთ ფორმებს, რომლებიც მომავალ საქართველოში დაფუძნდება. ვგულისხმობ სახელმწიფო სექტორთან ერთად გლეხური, საჯარო, კერძო ინდივიდუალური, კოოპერაციული, შერეული საკაცო ინსტიტუტების დამკვიდრებას, მათ შორის საბაზრო ურთიერთობების დამყარებას და სხვა.

ეჭვი არ არის, რომ ღმერთის მიერ ნაბოძები ბუნებრივი სიმდიდრის, ქართველი კაცის ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ცხოვრებაში ახალი პოლიტიკური კურსის თანმიმდევრობითი გატარებით, ალბათ, სულ მალე ჩვენს ცნობიერებაში გამჯდარი აზრი, თითქოს რესპუბლიკას თავის რჩენა არ ძალუძს და ხსნა მხოლოდ ჩრდილოეთშიაო—მოგონებადღა დარჩა.

უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის მეურნეობის წინსვლა შეუძლებელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის გარეშე.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც დღეისათვის გვაქვს, უნდა ვაღიაროთ, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერება, როდესაც იგი სტრუქტურული დაქვემდებარების წესით აგროსამრეწველო კომპლექსის მომსახურებისათვის იყო გამიზნული, დარგზე დადებით ზეგავლენას ვერ ახდენდა. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მეცნიერება წარმატებით ამუშავებდა პრობლემებს, ცალები წარმატებით სრულდებოდა, ოღონ რომ მათი პრაქტიკაში დანერგვა რატომღაც იწვევდა დაშრობილი მიწების ხელახალ დაჭაობებას, გაშენებული პლანტაციების ამოძირკვას, მაღალპროდუქტიული საქონლის გადაშენებას, ნიადაგების ეროზიით ოსპობას, ცხოველებისა თუ მცენარეულობის მინერალური სასუქებითა და ათასგვარი ჭირით მოწამვლას და ა. შ.

ფაქტია, რომ მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთკავშირი სხვა ფორმით უნდა წარიმართოს, არ გამოვრიცხავთ მათ შორის საბაზრო ურთიერთობებიც. მეტი ეფექტიანობის მისაღწევად შეეცდებით შეეისწავლოთ განვითარებული საზღვარგარეთული ქვეყნების გამოცდილება და დავნერგოთ იგი ჩვენთან.

გვაქვს ასეთი მოსაზრებაც. ქართველი გლეხი თვითშეუცნობლად მეცნიერს წარმოადგენდა, რამეთუ თავის საქმიანობას გამოცდილებაზე, ნიადაგზე, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს თავისებურებებზე დაკვირვებით, რეგიონის შესაბამისი სელექციური ჯიშების გამოყვანით ახორციელებდა. ამით მან უნიკალური კულტურები, ჯიშები და უმდიდრესი აგრარული ტრადიციები შექმნა. აქედან გამომდინარე ვამირებთ ხელი შევუწყოთ ქართული ტრადიციული მეურნეობის აღორძინებას, ეკოლოგიურად სუფთა ბიოდინამიკური საკვლევი ეტლის შექმნას, სადაც მეცნიერულ გამოკვლევას დაექვემდებარება

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივი საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

სოფელი ღვირიში

კომისიის თავმჯდომარე—**გივი პლატონის ძე გუგავა**—ღვირიშის სასოფლო საბჭოს ბუღალტერი, უპარტიო.

თავმჯდომარის მოადგილე—**ჯიმშერ თედორეს ძე გიორგობიანი**—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

კომისიის მდივანი—**თალიკო ირაკლის ასული გურეშიძე**—ღვირიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის წევრები:

მერი გრამიტონის ასული ხეცურიანი—ღვირიშის კავშირგაბმულობის განყოფილების მეელსმენე, უპარტიო.

ვაჟა პავლეს ძე ჩხეტიანი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

მარინე კონსტანტინეს ასული ყურაშვილი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ბიძინა რომანოზის ძე ახვლედიანი—ღვირიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ლიუ ვასილის ასული ჩხეტიანი—უცხერის საფერშლო პუნქტის მედდა, უპარტიო.

საშა რაჟდენის ასული ირემაძე—ნასპერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

დოდო არქიფოს ასული ახვლედიანი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ნინო გურგენის ასული ხვადაგიანი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

გენადი ვალიკოს ძე ძნელაძე—ნასპერის არასრული საშუალო სკოლის რემონტიორი, უპარტიო.

ლამარა კოლიას ასული ფუტკარაძე—ღვირიშის კავშირგაბმულობის განყოფილების დამტარებელი, უპარტიო.

მისამართი: ღვირიშის სასოფლო საბჭოს შენობა.

სოფელი ნაკურალეში

კომისიის თავმჯდომარე—**შალვა გრამიტონის ძე ყურაშვილი**—ნაკურალეშის მაღაზიის გამგე, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**ვაჟა სევარიონის ძე ყურაშვილი**—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

კომისიის მდივანი—**მერი სოლომონის ასული ჩაკვეტაძე**—ნაკურალეშის საექიმო უბნის ექთანი, უპარტიო.

კომისიის წევრები:

თამარ ლეონტის ასული გოლეთიანი— ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს დამლაგებელი, უპარტიო.

ევგენ გრიგოლის ძე სვანიძე—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

ქეთო კუჭიკოს ასული ჩხეტიანი—ცხუკუშერის დაწყებითი სკოლის დამლაგებელი, უპარტიო.

საშა ნესტორის ასული გოლეთიანი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

ოლლა კოსტას ასული ფრუიძე—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

გიორგი უჩას ძე ყურაშვილი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ციალა დავითის ასული ქომეთიანი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ფოთოლა გიორგის ასული სვანიძე—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

მურადი გრიგოლის ძე ყურაშვილი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ნოდარი სპირიდონის ძე გოლეთიანი—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

მისამართი: ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს შენობა.

სოფელი აღვი

კომისიის თავმჯდომარე—**ომარ აპოლონის ძე მიქაძე**—აღვის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**ვედიკო გრიგოლის ძე თაგვაძე**—აღვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

კომისიის მდივანი—**ფატი ბორისის ასული ჩხეტიანი**—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

კომისიის წევრები:

ბორის რუბენის ძე ჯიაძე—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ელგუჯა შოთას ძე ყურაშვილი—აღვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

თენგიზ დავითის ძე ახვლედიანი—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ვალერი ეორას ძე ახვლედიანი—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ქეთინო გრიგოლის ასული ჭაბუკიანი—აღვის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, უპარტიო.

მარნელი აბელის ძე მიქაძე ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

პასიკო ნოდარის ასული ირემაძე— საყოფაცხოვრებო მომსახურების მკერავი, სკკპ წევრი.

რუბენ ამბაკოს ძე ახვლედიანი—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

მიხეილ შოთას ძე ბობოხიძე—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ნუცა ათანასეს ასული ჩხეტიანი—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

მისამართი: აღვის სასოფლო საბჭოს შენობა.

სოფელი ღასურიაში

კომისიის თავმჯდომარე—**ნიკო მიხეილის ძე მუშკუდიანი**—ლასურიაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**მურშან ვალოდიას ძე ბრეგვაძე**—ლასურიაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

კომისიის მდივანი—**ხათუნა თენგიზის ასული კოპალიანი**—კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, უპარტიო.

კომისიის წევრები:

ლოლა სპირიდონის ასული ბურჯალიანი— ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მოლარე-მოანგარიშე, უპარტიო.

ნინო რაინდის ასული ჭაბუკიანი—დეხვირის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

დიომიდე სამსონის ძე ჭაბუკიანი—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

გალაქტიონ გრიგოლის ძე ახვლედიანი — ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

ანზორ ალექსანდრეს ძე მუშკუდიანი— ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ფოთოლა დიმიტრის ასული სვანიძე—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

აბესალომ პიმენის ძე სილაგაძე—მახაშის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

მაყვალა ნოდარის ასული კოპალიანი—მახაშის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

შოთა მიხეილის ძე გასვიანი—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

სევარიონ ამბროსის ძე სილაგაძე—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

მისამართი: ლასურიაშის კულტურის სახლის შენობა.

სოფელი ქვედა ცაგერი

კომისიის თავმჯდომარე—**ია ბენიას ასული ახვლედიანი** ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის აღმზრდელი, უპარტიო

თავმჯდომარის მოადგილე—**თამაზ გრიგოლის ძე მურცხვალაძე**—ჩხუტელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის მდივანი—**მაყვალა ჯემალის ასული კოპალიანი**—ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ჰელსინკის კავშირი.

კომისიის წევრები:

აზა მურადის ასული ლიპარტელიანი—ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ნათელა გრიშას ასული მიქაძე—ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს შემოსავლების მოლარე, უპარტიო.

გულო აკაკის ასული მეშველიანი—ჩხუტელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ლარისა ბიკენტის ასული საღინაძე—ჩხუტელის ბაგა-ბაღის მედდა, უპარტიო.

იური გაიოზის ძე მეშველიანი—ჩხუტელის კოლმეურნეობის მექანიზატორი, უპარტიო.

მარინე ამბროსის ასული მეშველიანი—ჩხუტელის კოლმეურნეობის ბუღალტერი, სკკპ წევრი.

თამაზ ოთარის ძე კორძაია—ჩხუტელის კოლმეურნეობის ბუღალტერი, უპარტიო.

მარინე ჯუმბერის ასული გოგიძე—ცაგერის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სკკპ წევრი.

ავთანდილ გრიგოლის ძე ბერიძე—ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

ირა მიხეილის ასული საღინაძე—ცაგერის კოლმეურნეობის მოანგარიშე, სკკპ წევრი.

მისამართი: ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს შენობა.

სოფელი ლუხვანო

კომისიის თავმჯდომარე—**მაგული ლუკას ასული ბენდელიანი**—ქვედა ცაგერის კლუბის გამგე, უპარტიო.

თავმჯდომარის მოადგილე—**ვაჟა ლუკას ძე კოპალიანი**—ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის მდივანი—**ლიდა სარდიონის ასული ბობოხიძე**—ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მოლარე-მოანგარიშე, უპარტიო.

კომისიის წევრები:

ავერიონ ივანეს ძე ბერიძე—ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

მზია ევსების ასული ბენიძე—სოფელ ზარაგულის საფერშლო-საბებიო პუნქტის მედდა, უპარტიო.

დარეჯან ნესტორის ასული გოგიძე—სოფელ ზარაგულის ბიბლიოთეკის გამგე, უპარტიო.

ნაზიკო ამბროსის ასული ლეთოდიანი—ქვედა ლუხვანოს ბიბლიოთეკის გამგე, უპარტიო.

ზურაბ რაჟდენის ძე ლეთოდიანი—ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ზაურ სამსონის ძე ბენდელიანი—ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ლენა პლატონის ასული კოპალიანი—ზედა ლუხვანოს კლუბის გამგე, უპარტიო.

თენგიზ ვახტანგის ძე კოპალიანი—ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

გულნაზ გიორგის ასული კოპალიანი—ლუხვანოს სასოფლო საბჭოს დამლაგებელი, უპარტიო.

ფოთოლა ვალიკოს ასული ჯიაძე—ქვედა ლუხვანოს კლუბის დამლაგებელი, უპარტიო.

მისამართი: ლუხვანოს საბჭოს შენობა.

სოფელი წიფერჩი

კომისიის თავმჯდომარე—**მერაბ გალაქტიონის ძე ქომეთიანი**—ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**ეორა შალვას ძე კოპალიანი**—წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

კომისიის მდივანი—**ლილი ინდიკოს ასული ყურაშვილი**—წიფერჩის სასოფლო საბჭოს მოლარე-მოანგარიშე, უპარტიო.

კომისიის წევრები:

დავარ გალაქტიონის ასული მეშველიანი—ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

მზია გრიგოლის ასული ლარცულიანი — წიფერჩის საექიმო უბნის მედდა, უპარტიო.

მანანა გიორგის ასული ხეცურიანი—ლარჩვალის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, უპარტიო.

დავით გაბრიელის ძე ბერიძე—სოფელ ქულბაქის მაღაზიის გამგე-გამყიდველი, უპარტიო.

მაია დავითის ასული ჩაკვეტაძე—წიფერჩის საბავშვო ბაგა-ბაღის მზარეული, უპარტიო.

ეორა გრიგოლის ძე ფრუიძე—წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

ნუგზარ ოთარის ძე ლიპარტელიანი—ჩქუმის სასოფლო კლუბის გამგე, უპარტიო.

ნუნუ დავითის ასული გელენიძე—წიფერჩის სასოფლო საბჭოს დამლაგებელი, უპარტიო.

ეთერ ალექსანდრეს ასული ლიპარტელიანი—წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

მთვარისა ალიოშას ასული ხეცურიანი—წიფერჩის ბაგა-ბაღის აღმზრდელი, სკკპ წევრი.

მისამართი: წიფერჩის სასოფლო საბჭოს შენობა.

სოფელი ზუბი

კომისიის თავმჯდომარე—**ბორის მიხეილის ძე ბენიძე**—ზუბის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

თავმჯდომარის მოადგილე—**მერაბ ვასილის ძე ჩაკვეტაძე** — ზუბის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი" №25)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივი საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

(დასასრული).

კომისიის მდივანი—**მაგული გრიგოლის ასული მამარდაშვილი**—ზუბის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

კომისიის წევრები:

ზაურ ნოდარის ძე ომანაძე—ზუბის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

გულნაზი ავერიონის ასული მუშკუდიანი—ზუბის კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე, სკკპ წევრი.

ვენერა სარდიონის ასული ბენიძე—ზუბის სასოფლო საბჭოს მოანგარიშე, უპარტიო.

დუგლას ვალიკოს ძე ომანაძე—ზუბის რადიოსადგურის გამგე, უპარტიო.

მაყვალა რაფიელის ასული საღინაძე—ზუბის სამრეწველო მაღაზიის გამგე, უპარტიო.

გაბრიელ უჩას ძე ჯანელიძე—უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, სკკპ წევრი.

ჯემალ ბიქტორის ძე ომანაძე—ზუბის ხილის პუნქტის გამგე, უპარტიო.

ოთარ სოფრომის ძე ჩაკვეტაძე—უსახელოურის საბჭოთა მეურნეობის მუშა, უპარტიო.

იური კოლიას ძე ჩაკვეტაძე—უსახელოურის საბჭოთა მეურნეობის მუშა, უპარტიო.

აპოლონ ერმილეს ძე მუშკუდიანი—ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

მისამართი: ზუბის სასოფლო კლუბის შენობა.

სოფელი ოყურეში

კომისიის თავმჯდომარე—**რომან მირონის ძე მუშკუდიანი**—ოყურეშის საშუალო სკოლის დირექტორი, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**ზაზა ნოდარის ძე მუშკუდიანი**—ოყურეშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის მდივანი—**ნატო ყორას ასული ყურაშვილი**—ოყურეშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის წევრები:

მზია ვაგნერის ასული ყურაშვილი — ოყურეშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ბესარიონ იოსების ძე ეფაძე—უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, უპარტიო.

ზურაბ ნოდარის ძე მამარდაშვილი —უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, უპარტიო.

მურად ვაგნერის ძე ყურაშვილი—უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, უპარტიო.

ჯამბულ რაუდენის ძე ეფაძე—უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, უპარტიო.

ნანული აბელის ასული ქომეთიანი —უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, უპარტიო.

რომან ვლადიმერისძე მამარდაშვილი—ოყურეშის სასოფლო საბჭოს მოლარე-მოანგარიშე, სკკპ წევრი.

ნელი შალვას ასული თუთისანი —კავშირგაბმულობის ოყურეშის განყოფილების დამლაგებელი, უპარტიო.

ჯენი ალიოშას ასული ყურაშვილი—ოყურეშის სასოფლო კლუბის გამგე, უპარტიო.

ეთერ ივანეს ასული ჩაკვეტაძე—ოყურეშის საექიმო უბნის მედდა, უპარტიო.

მისამართი: ოყურეშის სასოფლო საბჭოს შენობა.

ქალაქი ცაგერი

კომისიის თავმჯდომარე—**მიხეილ ფილიპეს ძე მუშკუდიანი** — კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის სამოქალაქო თავდაცვის ინსპექტორი, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**გივი მიხეილის ძე ასათიანი**—აგრომრეწვბანკის ინჟინერი, სკკპ წევრი.

კომისიის მდივანი—**მაყვალა ნოდარის ასული ახვლედიანი** — საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის ბუღალტერი, უპარტიო.

კომისიის წევრები:

მურთაზ ავერიონის ძე ამბროლიანი — კომუნალური მეურნეობის ტექბიუროს უფროსი, უპარტიო.

მარიკა ჯიმშერის ასული მეშველიანი—საგზაო სამმართველოს კადრების ინსპექტორი, უპარტიო.

მანანა შალვას ასული კოპალიანი—კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, უპარტიო.

გრიშა პავლეს ძე ჭიღვარია—საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მეკუჭნავე, სკკპ წევრი.

მერაბ ყორას ძე ლარცულიანი—ატეკის ოსტატი, სკკპ წევრი.

ბიჭიკო ნარიმანის ძე მანაგაძე—ცაგერის ღვინის ქარხნის ინჟინერი, სკკპ წევრი.

რეზო ბიქტორის ძე საღინაძე—სატყეო მეურნეობის ოსტატი, სკკპ წევრი.

ციცინო აპოლონის ასული ნემსწვერიძე—ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ყორა დიომიდეს ძე ხეცურიანი—გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციის მძღოლი, სკკპ წევრი.

დავით შოთას ძე სანთელაძე — პროფსასწავლებლის მასწავლებელი, ჰელსინკის კავშირის რაიონული ორგანიზაციის წევრი.

მისამართი: ქ. ცაგერი. ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს შენობა. ტ: 24-75.

ეკოლოგია

დავიცვათ გუნება ეშმაკეულისაგან

„ჩვენ ბუნებაში ვართ და ბუნება ჩვენშია!"—თქვა სწორუპოვარმა გენიოსმა ვაუმა. ბუნების ძალუმმა მესაიდუმლემ ეს მაშინ თქვა, როდესაც ეკოლოგიური პრობლემები ამ განზომილებაში არ მდგარა. არსებობდა მხოლოდ ვაუას მცნებები, როგორც ბიბლიური ზეშთაგონება. იგი იყო ჩვენთვის ანტიკური მიდასი და მინდია, რომელსაც შეეძლო ერთი ხელის შეხებით ყველაფერი ოქროდ ექცია და უსულო ბუნება აელაპარაკებია. ყველგან და ყველაფერში ვაუას ვგრძნობდით და ქედს ვიხრიდით მისი სიდიადის წინაშე. თავიდანვე გრძნობდა ალბათ დროის წინმსწრები გენიოსი დედა-ბუნების მომავალ გასაჭირს და ფილოსოფიურად მოძღვრავდა ბუნებაზე ხელაღმართულ ადამიანს მაშინ, როდესაც მისი განადგურების ამდენი საშუალებანი არ იყო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბუნების განადგურებაში მას ტოლს არ უდებს ოთხფეხა ეშმაკუნები—თხები—ადამიანის შემდეგ ბუნების ყველაზე დიდი, პოტენციური მტერი. კი, მართალია, მათ ბუნების წინააღმდეგ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება არ შეუძლიათ, მაგრამ მათ გააჩნიათ ყველგანმავალი ფეხები და მარწუხივით ძლიერი ყბები, რომლითაც ყველაფერს ნთქავენ.

იყო დრო, როდესაც ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნა და ორივე სექტორში გაუქმდა დარგი და შეწყდა მათი გამანადგურებელი თარეში, როგორ მომმრავლებულმა ბუნების მტერმა ხელი დარია მისგან მოსვენებულ ბუნებას. აჩანაგებს და აპარტახებს მას.

არავინ იფიქროს არ გვესმოდეს თხის მნიშვნელობა და სარგებლიანობა. ჩვენ მოვითხოვთ მათ მოვლა-პატრონობას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი უკონტროლო და განუკითხავი თარეში. უნდა არსებობდეს შემაკავებელი ძალა, კანონი, რომლის გარეშე არ არსებობს არავითარი მორალურ—ზნეობრივი ძალა, რომლითაც თხების მეპატრონეთა ცინიზმი და მოურიდებლობა მოთოკო და დააოკო, რომლებიც სარგებლობენ საერთო ქაოსით და ე. წ. „სასურსათო პრობლემით", რითაც ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

თუმცა ღმერთმა დაგვიფაროს ძროხის ფასად ქცეული თხისაგან ქვეყნის გამოკვება. კი ბატონო, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, კამეჩის ფასიც აუღიათ, მაგრამ ჩვენ გვადარდებს მათგან გაჩანაგებული ბუნება.

ეს სატკივარი მარტო ჩვენი არაა, გადავხედოთ ლაილაშის საშუალო სკოლის ეზოს მიმდებარე ფერდობებს, ერთად რომ მოუყარო თავი დაილაშის, თაბორის და სურმუშის თხებს, ეს ხომ მთელი ჯოგია, რომელიც დროდადრო შემოესევა სკოლის ეზოს, აკარმიდამო ნაკვეთებს და მუსრს ავლებს ყველაფერს. ეს ხომ დიდი უბედურებაა. საუბედუროდ მოგებით გაბრიყვებულ მეპატრონეებს ვერავითარი ტენდენციებით ვერ შევაკავებთ თუ არა შესაბამისი კანონი და მისი ამოქმედება.

აქ საჭიროა, ხმა აღიმაღლოს ყველა ინსტანციამ, ვისაც კი ეს სატკივარი ხელეწიფება. უნდა გატარდეს საჭირო სანქციები, რაც აღკვეთს მათ უზედამხედველობას, უპატრონოდ ხეტიალს, ხომ გასათვალისწინებელია და გულსატკენია ისიც, რომ ბოლო წლებში არც ერთი აღმონაცენი აღარ განვითარებულა იქ, სადაც თხებმა თავიანთი მსახვრალი კბილი, გაავლეს, ძველიც ბევრია დახრული და დაბეჩავებული.

ამ საქმეში სეფე სიტყვა, ხომ ბუნების დაცვის ლეჩხუმის ორგანიზაციას ეკუთვნის. დროზეა ასამაღლებელი ხმა, მანამდე სანამ ჰიმნად ქცეული „ტყე შეუნახე შვილებსა"... კომუნიზმის შენების ლიტონ მოწოდებებს არ დაემსგავსება. ამ საშური საქმის ხვალისათვის გადადება აღარ შეიძლება, რადგანაც ხვალ უკვე იქნება გვიან.

თუ ეს მიზეზია, ხომ შეიძლება ბოდიში მოვუხადოთ თხის წელიწადს, რამეთუ ჯერ არ დაბადებულა ქვეყნად ისეთი თხა, რომელიც ბუნებისა და საზოგადოების ინტერესებზე მაღლა იდგეს.

ნ. მესხაძე.

სოფელი ლაილაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობა

პრობლემები და ამოცანები

(დასასრული).

ქართველი გლეხის ძველთაძველი ფენომენი და გენია.

ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მიწის კანონის შესამუშავებლად. შემუშავდება რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი. საქმეში ჩაბმული არიან სამეცნიერო და იურიდიული წრეების წარმომადგენლები, პრაქტიკოსები. ეცდილობთ გამოვიყენოთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, გამოვნახოთ საქართველოს გეოგრაფიული და ეთნიკური თავისებურებების შესატყვისი ვარიანტი.

ვფიქრობთ, რომ მომავალში საქართველოში მიწის სახელმწიფო და კერძო საკუთრებასთან ერთად აღსდგება მიწებზე საველესიო საკუთრება.

მიწის პრობლემა მეტად სათუთია და მისი კანონმდებლობის მიღებამდე მრავალი ნიუანსის გათვალისწინებით პირველ რიგში მისაღებია სხვადასხვა სახის პოლიტიკური აქტები, მანამდე კი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ", ძირითადი კანონი მოაწესრიგებს მიწასთან იურიდიულ ასპექტებს.

ჩვენი კომისიის არსებობის დედააზრი სწორედ ის არის, რომ გარდატეხას და აღორძინებას მაქსიმალურად მოკლე პერიოდში მივაღწიოთ. თუ რამდენად გავართმევთ თავს ხალხისა და ღმერთის მიერ დაკისრებულ ამ მისიას, ცხოვრება გვიჩვენებს. ჩვენის მხრივ კი არ დავზოგავთ ძალისხმევას სასურველი მიზნების მისაღწევად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

(დასასრული).

თავმჯდომარედ დაინიშნა ანზორ ჯანჯღავა.

უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩხეიძის წარდგინებით სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გაცემის საფუძვლიანობის საკითხების შემსწავლელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

უზენასმა საბჭომ უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებს ალექსი წაბრიას და ალექსანდრე ალადაშვილს მათ მიერ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დამთავრებამდე.

28 თებერვალს სესია მუშაობას განაგრძობდა.

ბილოცავთ

ახალდაბადებულებს!

მანანა სამსონის ასულ ჭიღვარიას
ნუგზარ ოთარის ძე ჭაბუკიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ქართული ოჯახი. მრავალი შვილი გაგეზარდოთ ერის საკეთილდღეოდ.

ამირან ახვლედიანი, მელანო ჯამბურიძე. მერაბ ჭიღვარია. მურად მუშკუდიანი, ბორის მამარდაშვილი, ოლეგ გიორგობიანი, გია ჭაბუკიანი. ნანი ხაბულიანი ქიშვარდ ყურაშვილი. ვენედი ცხვედიანი. ანდრო ბურჯალიანი გოგი მუშკუდიანი. მევლუდ სილაგაძე.

სოფო გრიგოლის ასულ საღინაძეს
კახა ანზორის ძე მუშკუდიანს
თინიკო დავითის ასულ შკუბულიანს
დათო გიგას ძე მეშველიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ფუძის კეთილი ანგელოსი. ლამაზი მომავალი და ახდენილი ოცნებები დაგბედებოდეთ.

მაყვალა კოპალიანი.

მზია არდევანის ასულ ონიანს
ამირან ნიკოს ძე მიქაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ.

ნელი ფუტკარაძე. ნაზიკო ლეშკაშელი. მზია ჭაბუკიანი. ნელი გოდერიძე. მერი ახვლედიანი, ბაცუნია ჩაჩხიანი.

მანანა სამსონის ასულ ჭიღვარიას
ნუგზარ ოთარის ძე ჭაბუკიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, ბედნიერება, სიყვარული დაგბედებოდეთ. მრავალი შვილის ჭყლოპინს აეხმიანებინოს თქვენი ოჯახი.

ინგა ბურჯალიანი. ნანო მეშველიანი. მარინე სვანიძე. ლაშა კვირიკაშვილი. გოია მურცხვალაძე. ავთო მეშველიანი.

მანანა სამსონის ასულ ჭიღვარიას
ნუგზარ ოთარის ძე ჭაბუკიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

დეხვირის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ვილოცავთ

გ. ლა. სოსო შკუბულიანებს

მოგილოცავთ ბიჭის შეძენას. ძეობა, მზეობა, მხნეობა არ მოგეშალოთ. ერისკაცი აღზრდილიყოს.

ბიჭიკო შურა შკუბულიანები ოჯახებით.

ნაზიკო, აქვსენტი გოლეთიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. კიდევ მრავალი შეგძენოდეთ და აღზრდილიყვნენ, გვარი ესახელებინოთ.

ნეოლინა საღინაძე, მარინე ყორეოლიანი. იური რობერტ. ავთანდილ გოლეთიანები.

ნანა, გოგი, ნაზიკო, აქვსენტი გოლეთიანებს
იზო, ბახვა კოპალიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი, მრავალი და-ძმა შესძინოს ღმერთმა.

შურა, მზია, ალექსანდრე, ოქარ გოლეთიანები. რუსუდან, ზურაბ ხორხომელიძეები

ნაირა ფუტკარაძეს
გრიგოლ საღინაძეს

გილოცავთ ქალიშვილის, სოფოს ბედნიერებას. ღმერთმა დალოცოს მისი ოჯახი. შვილთა სიმრავლე და სიხარული დაბედებოდეთ.

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები.

იზო, ბახვა, ქოზია კოპალიანებს
თინა გოგოხიძეს
ნაზიკო, აქვსენტი გოლეთიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი. შესძინოს მრავალი და-ძმა.

ბუჭუ ბენდელიანი ოჯახით.

მარიკა მურმანის ასულ ჩაკვეტაძეს

გილოცავთ დისშვილის შეძენას სიხარული და შვილთა სიმრავლე ნუ მოშლოდეს თქვენს ოჯახს.

ზუბის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები.

გულნარა, ჯემალ ჩაჩხიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები.

ყველაზე მდიდარი შოტლანდიელები

ბრიტანეთის ფეხბურთში ყველაზე მეტ ფულს ღებულობენ არა ინგლისის კლუბები, არამედ შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი". ამ გუნდს, მას შემდეგ, რაც 1986 წელს სათავეში ჩაუდგა მწვრთნელი და მენეჯერი გრემ საუნესი, საფინანსო საქმეები სრულ წესრიგში აქვს.

„რეინჯერსები" თავისი სპონსორისაგან—ლუდის ქარხნისაგან იღებენ ერთ მილიონ გირვანქა წელიწადში. ერთ მილიონს კიდევ უმატებს სპორტული ტანსაცმლის გამომშვები ფირმა. გასაკვირი არ არის, რომ ამჟამად გუნდის შემადგენლობაში არის ექვსი ფეხბურთელი, რომელთათვისაც თითოეულში გადაიხადეს მილიონი გირვანქა და უფრო მეტი ფული.

შვილები ოთარი, ბაბუცა, იზო მაყვალა, რძლები დალი გორგასლიძე, ქეთინო ქარსელაძე, სიძეები ამბროსი ჭიჭინაძე, ჯიბილო მიქაძე, ზაზა ცინცაძე, შვილიშვილები ბეჟანი, ნატო, გოჩა, ლევანი. გოგი, სოფო, დათო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ ექვთიმეს ასული ლიპარტელიანი-კვირკაშვილი

დაკრძალვა 5 მარტს, სამშაბათს, სოფ. ჩხუტელში.

სოსო კოპალიანი, ნიურა, დათო ქომეთიანები, მურმან გუგავა, ჭეელუდ ირემაძე, ქორა ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე

ცაგერის საშუალო სკოლის 1979 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი დუდუშა გორგასლიძე თანაუგრძნობენ ხვიჩა და გიორგი ფანჯავიძეებს შვილისა და ძმისშვილის

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის №91 პროფსასწავლებლის 1980 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მარინე და ხვიჩა ფანჯავიძეებს შვილის

ნათია ფანჯავიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის VII-ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ფანჯავიძე.

ცაგერის საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ხათუნა სილაგაძეს მამის

ამბერკი სილაგაძის

გარდაცვალების გამო.

ლენა მურცხვალაძე, მიშა, კუკური კვირკაშვილები, ნელი ჩაკვეტაძე, ონისე ხეცურიანი, გრიშა ცხვედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე

შვილები ლამარა, იამზე, გრიშა, სიძეები ვაჟა მაჭარაძე, შოთა საღინაძე, შვილიშვილები ნანა მაჭარაძე, გოგი, გოჩა, რატი საღინაძეები, ბიძაშვილები ეუეუნა აგრაფინა, მიშა ბენდელიანები იუწყებია, რომ გარდაიცვალა

პოლიაქტოზ ალექსანდრეს ძე ბენდელიანი.

დაკრძალვა 5 მარტს, სამშაბათს, სოფ. ზედა ლუხვანოში.

რაინდი, უჩა მეშველიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე

ნურთაზ ჩაკვეტაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძის

გარდაცვალებას.

ოთარ, თამაზ საღინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნათელა და სოსო ფანჯავიძეებს შვილიშვილის

ნათიას

გარდაცვალების გამო.

რუბენ, გელა ბენდელიანები, მექი ყურაშვილი, როსტომ ბრეგვაძე, ნოდარ, ბადრი სილაგაძეები, გერონტი ნემსწვერიძე, მურთაზ გულბიანი, მიშა ონიანი, ანზორ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მარინე და ხვიჩა ფანჯავიძეებს შვილის

ნათიას

გარდაცვალების გამო.

ბორის მიქაძე, იაგო ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ ლიპარტელიანი-კვირკაშვილი.

მიშა, ანზორ მამარდაშვილები, ქორა ნემსწვერიძე, შაქრო მუშკუდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გურამ და ციალა მამარდაშვილებს დის

ლიანა არტემის ასული მამარდაშვილი-ირემაძის

გარდაცვალების გამო.

შუქური ყუბუსიძე ოჯახით იუწყება

ნათია ფანჯავიძის

გარდაცვალებას.

ჯემალ კობერიძე, მურმან, ბიძინა სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ავთანდილ, გიგლა, ვაგნერ, ლილი უვრეხელიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიანა არტემის ასული მამარდაშვილი-ირემაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ოყურეშის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაილი, რეზო გიორგელიძეებს რძლის

ლიანა არტემის ასულ მამარდაშვილი-ირემაძის

გარდაცვალების გამო

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ციალა ჩაკვეტაძეს მულის

ლიანა მამარდაშვილის

გარდაცვალების გამო.

ელგუჯა ქარსელაძე, ნოდარ კოპალიანი, ნაზიკო მუშკუდიანი, შალვა თუთისანი, მერაბ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ რეზო ფრუიძეს ბიძაშვილის

უშანგი ბაგრატოს ძე ალავიძის

გარდაცვალების გამო.

დათო ხეცურიანი, ვილგემ ჭაბუკიანი, თინა გასვიანი, ჯენი მანდარია, იური მეგრელი, ვაჟა ჩაკვეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ გოგუცა შკუბულიანს დეიდის

მარო კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ოთარ, თამაზ, ავთო საღინაძეები, ოჯახებით თანაუგრძნობენ იამზე და შოთა საღინაძეებს მამისა და სიმამრის

პოლიაქტოზ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის
* სამშაბათს
* ხუთშაბათს
* შაბათს

ჩვენი მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა №26 ტირაჟი 4720

რედაქტორი
ნოდარ
ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა